



მწვანე
ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული
ტელეფონი: (+995 32) 222 38 74 / 229 27 73
ფაქსი: (+995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

04/09/01-174

20 თებერვალი, 2015

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი ბაქრაძეს

*(ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მოსაზრება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ
გადანყვეტილების მიღების საფუძვლების არ არსებობის თაობაზე)*

ბატონო გიორგი,

თქვენი 2015 წლის 13 თებერვლის #04/13-826 წერილით (რომელიც ჩავგვბარდა 2015 წლის 16 თებერვალს) წარმოდგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება ასოციაცია მწვანე ალტერნატივას 2015 წლის 9 თებერვლის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არასწორია და კანონსაწინააღმდეგო შემდეგ გარემოებათა გამო:

1. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის 3 პუნქტის თანახმად, „„გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

ბ) ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერჯია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღებისას;

გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, **კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა**, იმდენად, რამდენადაც მათზე

ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

კონვენციის ზემოთმოყვანილი მუხლის თანახმად, ჩვენს მიერ წარდგენილი საჩივარი შეეხება გარემოსდაცვით საკითხს.

2. კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული საზოგადოების წევრებს:

- ა) რომლებსაც გააჩნიათ დასაბუთებული ინტერესი, **აწ**
- ბ) რომელთა უფლებები ილახება, იქ სადაც ამ მხარის ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს ამას, როგორც წინაპირობას,

მიეცეთ საშუალება სასამართლოში ან/და კანონით დადგენილ სხვა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში **გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილების, ქმედებისა თუ უმოქმედობის არსებითი ან პროცესუალური სამართლიანობა. ამისათვის ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესები, რომლებიც აკმაყოფილებენ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს, ჩაითვლება დასაბუთებულად ზემოთ მოყვანილი (ა) ქვეპუნქტის მიზნებისათვის.** უნდა ჩაითვალოს ასევე, რომ ასეთი ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან განაცხადონ მათი უფლებების შელახვის შესახებ ზემოთ მოყვანილი (ბ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის.

კონვენციის მე-2 მუხლის მე-5. პუნქტის თანახმად, „დაინტერესებული საზოგადოება“ ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება, ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წესდების თანახმად (გთხოვთ, იხილოთ თანდართული), ორგანიზაციის მიზნებია:

- საქართველოში მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება;
- საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით სფეროში;
- გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელება;
- ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არის „დაინტერესებული პირი“ და დაუშვებელია მას მოეთხოვოს გარემოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების დასაბუთება.

აქვე, გასაჩივრებული აქტის მწვანე ალტერნატივასათვის 2015 წლის 9 იანვარს გადმოცემის ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგინთ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის პასუხისმგებელ პირთან ელექტრონული მიმოწერის ასლს (15 ფურცელი).

დანართი 1. მწვანე ალტერნატივას წესდება (7 ფურცელი);

დანართი 2. მიმოწერის ასლი (15 ფურცელი).

სულ დანართი: 22 ფურცელი

პატივისცემით,



ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი